**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური**

22 ოქტომბერი 2024

N113036

ქ. თბილისი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**შპს "ინვესტმენტ კონსალტინგ გრუპ"-ისთვის წერილობითი გაფრთხილების სახით**

**პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ**

შპს "ინვესტმენტ კონსალტინგ გრუპ"-ის მიერ (ს/ნ - 400152632) (შემდგომ - სუბიექტი) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგება 2024 წლის 29 სექტემბერს წარედგინა.

სუბიექტის მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, იგი წარმოადგენს III კატეგორიის საწარმოს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა განახორციელა წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით დამტკიცებული წესით (შემდგომ - წესი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და გამოარკვია:

კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, „მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS)". სუბიექტს, რომელიც წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, ანგარიშგება არ აქვს სრულყოფილად მომზადებული, კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. სუბიექტის მიერ არ არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ანგარიშგება შესადარის პერიოდზე. ასევე, არ არის წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დარღვევა იწვევს სუბიექტის დაჯარიმებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, "ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სამსახურმა შეიძლება სუბიექტის მიმართ ფულადი ჯარიმის ნაცვლად წერილობითი გაფრთხილება გამოიყენოს. სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს 1 თვეზე ნაკლები, სუბიექტის მიერ წერილობითი გაფრთხილებით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტის დაჯარიმება. სუბიექტის მიერ

ფულადი ჯარიმის დაკისრებისას დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლებელია გამოიწვიოს სუბიექტისთვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობის გაორმაგება…”.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სუბიექტს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. სუბიექტს დაევალოს ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას;
4. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხვედველობის სამსახური